აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. უმაღლესი საბჭოს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება დისტანციურად, სათანადო ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, დასაშვებია ობიექტური გარემოებების არსებობისას.“.

2. რეგლამენტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 69^1 მუხლი:

„მუხლი 69^1. საგანგებო სესია

საქართველოს პრეზიდენტის მიერ საომარი მდგომარეობის ან ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტ(ებ)ში) საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში, თუ აღნიშნული პერიოდი ემთხვევა უმაღლესი საბჭოს მორიგ ან რიგგარეშე სესიას, უმაღლესი საბჭო მუშაობას აგრძელებს საგანგებო სესიის რეჟიმში. საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაუქმებამდე უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესიის პლენარული სხდომები იმართება საჭიროებისამებრ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.“.

მუხლი 2

ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,

30 აპრილი 2020 წ.

N112-უ.ს.გ.ს.